საქართველოს მთავრობის

დადგენილება №690

2020 წლის 19 ნოემბერი

ქ. თბილისი

„დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 16/02/2015; 340170000.10.003.018441) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის – „დანერგე მომავლის“:

1. მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს მრავალწლიანი ბაღის გაშენების შემდგომ დაუფინანსდებათ/ აუნაზღაურდებათ შესაძენი შესაწამლი აპარატების ღირებულება წარდგენილი ინვოისის ან/და შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა. შესაწამლი აპარატების ღირებულების დაფინანსების/ანაზღაურების გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს და ამტკიცებს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).“.

2. 24^8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ნერგების კომპონენტის ფარგლებში ერთი ბენეფიციარისთვის დაფინანსდება არაუმეტეს 50 ჰა-ზე დაზიანებული ნერგების ჩანაცვლება არაუმეტეს 250 000 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2

პოტენციურმა ბენეფიციარ(ებ)მა, რომლებსაც ჯერ არ განუხორციელებიათ სააგენტოში დოკუმენტაციის წარდგენა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ნერგების დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში სტიქიური მოვლენ(ებ)ის შედეგად მრავალწლიანი ბაღის/პლანტაციის/ვენახის დაზიანებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში, დოკუმენტაციის წარდგენა უნდა განახორციელონ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო პოტენციურ ბენეფიციარებს, რომლებმაც განახორციელეს დოკუმენტაციის წარდგენა სააგენტოში სტიქიური მოვლენ(ებ)ის შედეგად მრავალწლიანი ბაღის/პლანტაციის/ვენახის დაზიანებიდან 60 კალენდარული დღის ვადის გასვლის შემდგომ, ვადის გადაცილება ჩაეთვალოთ საპატიოდ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**